სახალხო გაზეთი

№ 744 ხუთშაბათი, 8 ნოემბერი 1912 წ. № 744

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

პაპიროსები „გალლეია“ ამხ. „კომეტა“

25 ც.—15 კ. 10 ც.—6 კ.

ქ. ტფილისი. 1574

კანტორისაგან

1912 წ. პრემია „გრდემლის“ მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატებით
მიიღება ხელის მოწერა
1912 — წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 გიორგობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 1 მ. და 50 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისსათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოთ სრული თვეობით [illegible] გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 6 გიორგობისთვეს სოფ. ბოდბისხევში (ქიზიყი) გარდაიცვალა მთავარ-დიაკონ ისაკ ხოსიტაშვილის მეუღლე

ევდოკია (ევდო) მიხეილის ასული
ხოსიტაშვილისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის გულდამწვარი შვილები: ილიკო, თომა, ირადიონი, მარიამი, ბაბილინა, რძლები: ნინო გიორგის ასული ოლღა და მანანა და სიძე ნიკოლოზ კურდღელაშვილი. პანაშვიდები ყოველდღე საკუთარ სახლში. დაკრძალვა შაბათს, 10 გიორგობისთვეს, ბოდბისხევის ამაღლების ეკლესიის ეზოში. 1580.

კნეინა ელისაბედ ადამის ასული და თავადი ნიკოლოზ ათანასეს ძე ვახვახიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გვამი მათი საყვარელის შვილის და ძმის, უდროოდ გარდაცვალებულის ქალაქ ყაზანში

თავადის მიხეილ ნიკოლოზის ძის
ვახვახიშვილისა

მოსვენებულია ქალაქ ტფილისში და 9 ნოემბერს, დილის 10 საათზე, რკინის გზის სადგურიდან წასვენებულ იქნება კუკიის მართლმადიდებელ წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში წირვის მოსასმენად და ანდერძის ასაგებად.

დაკრძალვა იმავე სასაფლაოზე. 792.

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი **ტელეფ. № 795.**

ხუთშაბათს 8 ნოემბერს 1912 წ. ქართული დრამატ. საზოგად. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ვასილ ალ. აბაშიძის და ბუდუ მდივანის მონაწილეობით

1. **ყვავილი სიყვარულისა** დრამატ. ნაკვეთი 1 მოქ. კონსტან-ანდრონისა,
2. **ზოგი ჭირი მარგებელია** მხიარული კომედ.-ხუმრობა 3 მოქ. ვალ. გუნიასი.
3. **დივერტისმენტი** (სიმღერა და დეკლამაცია)

ანტრაქტებში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი ბ-ნ ს. ი. პრესმანის ლოტბარობით

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნი აბაშიძე, გოგოლაშვილი, კარგარეთელი, ლოლუა, ჩერქეზიშვილი. ბ-ნი აბაშიძე, აბდუშელი, ალექსიძე, გუნია ზარდალიშვილი, მდივანი, მგალობლიშვილი, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დივერტისმენტში მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ნ. დავითაშვილი, ბ-ნნი: ე. გარელიკი, ნ. ერისთავი, ი. ზარდალიშვილი, ი. ოსიპოვი, ლ. ცედლერი. აკომპანიატორი—ბ-ნი პ. პ. ფალიაშვილი. **დასაწყისი საღ. 8 საათზე.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ანონსი; კვირას, 11 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა—„**ვიდრე ხვალ, უფალო**“—თარგმ. **აკაკისა.**

რეჟისორი **ვალ. გუნია.** ქართული დრამატ. საზოგად. ადმინისტ. 1578.

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა **ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,** (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. **კავკავში**—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. **ახალციხეში**—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153

ქარხნის მარკა

კონიაკი და ლიქორი

[illegible]

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმებ-სპეციალისტები.

შინაგანი სნეულებანი.	**დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგ-გინეკოლ. სნეულებანი.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და საშვილოსნოსი სნეულებანი.	ექიმი-ქალი **გერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	ექ. ქალი **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელ. ექ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **ორემბოვსკი ნ. ხ.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათა შორის Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ „914“ და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა, ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. ახალ ბინაზე დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხ.). ტელეფ. 7—92. 777

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი

I ტ.	„ეროვნულ პრობლემის გარშემო“	ფასი „ „ „	75 კ.
II „	„ჩვენი საზოგადოებრივობა“	„ „ „ „	80 კ.
III „	„ნააზრევი“	„ „ „ „ „	65 კ.
IV „	„წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ.	„	85 კ.

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

კავკასიის სამთო სამმართველო აცხადებს,

რომ მიმდინარე წლის 30 გიორგობისთვეს, ქ. ქუთაისში დანიშნულია შორაპნის მაზრის

შავ-ქვის მრეწველთა მე-XV მორიგი კრება

კავკასიის 1 სამთო ოლქის ინჟინერ სტატსკი სოვეტნიკ აბრამ გრიგორის ძე ცეიტლინის თავმჯდომარეობით **ქვემოდ აღნიშნულ საკითხთა განსახილველად:** 1. კრების მდივნის არჩევა. 2. განხილვა ანგარიშებისა: ა) კრების საბჭოსი, ბ) სარევიზიო კომისიისა, გ) მანქანებისა და ჭიათურის რკ. გზ. ლიანდაგზე ვაგონების გამნაწილებელ კომიტეტისა, 3. მაღაროების საწარმოვო რაოდენობის სტატისტიკურ ცნობათა განხილვა, რკინის გზების სადგურებზე მყოფ მადნის რაოდენობა და რაოდენობა გაზიდულ შავი ქვისა, გადასაზიდ საშუალებათა და საწყობ ადგილების მოწყობა კავკ. რკინ. გზ. როგორც ჭიათურისა ისე მთავარ ლიანდაგზე. 4. რომანოვების საგვარეულოს სამასი წლის მეფობის აღნიშვნა. 5. შავქვის გადასატვირთავ ელევატორის აგება ბათომში. 6. სამრეწველო მიდამოს ხეობებში ლიანდაგების გაყვანა. 7. მაღაროებში წყლის გაყვანა. 8. საბჭოს სხვა და სხვა საჭიროებათათვის ჭიათურაში სახლების აგება. 9. მდ. ყვირილისა და რიონის გასასუფთავებლად მისაღები ზომები. 10. **სარკინისგზო საკითხები:** ა) შუამდგომლობა, რათა საბჭოს ნება დაერთოს ამიერ-კავკასიის სარკინისგზო ტელეფონებით სარგებლობისა, ბ) სახალხო ვაგონების განათების გაუმჯობესება, გ) პატარა ქიქოურში შესაჩერებელ მანქანის გაკეთება; დ) სად. შორაპნის გაფართოვება, ე) დარკვეთსა და ჭიათურას შუა მეორე ლიანდაგის დაგების დაჩქარება; ვ) ჭიათურაში საცალფეხო ხიდის გაკეთება; ზ) სად. ჭიათურაში არსებულ გზების მოკირწყვლა და წესიერად მოვლა; თ) ჭიათურაში არსებულ საწყობ მანქანებისა და ჯვარედინ გზათა განათება; ი) მგზავრებისა და, შავქვის გარდა, სხვა მორიგისა თუ საქონლის გადაზიდვაზე ფასების [illegible] საქმის უზრუნველყოფა. 12. [illegible] თოვება და საფერშლო პუნქტების დანაწილება რაიონებად. 13. ახალ კანონის მიხედვით მაღაროს მუშათა და საავადმყოფოს დაზღვევა. 14. ს. ჭიათურის გადაკეთება პოსადად და იქ უბრალო თვითმმართველობის შემოღება. 15. ჭიათურის სამოქალაქო სკოლის გადაკეთება სამთო-სატეხნიკო განყოფილებით. 16. ჭიათურის საქალებო სასწავლებლის მიღება საბჭოს გამგეობაში. 17. საბჭოს სხვა და სხვა საჭიროებათათვის სათადარიგო ფონდის დაარსება. 18. 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 19. თანამდებობის პირთა არჩევა. 582

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 4, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

ნ. მ. მელიქიშვილი ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“-ით. 1018

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. **№ 20.** წ. 1022

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, **№ 3,** ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

არგუტინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს. ½ ს.

ახვლედიანი შინაგან ნერვულ. საბავშ. სამშაბათ. ხუთშაბათ. შაბათ. საღამოს 4—5 საათ.

ბოჟოვსკი. შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკებ. საღამ. 4—5 ს.

მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,

კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½

რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

ერმოლაევი —ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

შამაში, ქირურგ. ავადმყ ყ. დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. 366.

ექიმი **კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, **№ 151.** დიდუბე 1049

ექიმი **პ. არდაზიანი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, **№ 3.** 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

ექიმი ი. ქ. აბაკელია იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს $4^1/_2$—$6^1/_2$ საათ. **ელისაბედის ქ. № 7,** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

ექიმი ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი ი. ე. ჯაში განაგრძობს ავადმყოფ. მიღებას დედათა და სადოსტაქრო ავადმყოფ. ექიმობა ბავშვების ძვალთა ჭლექისა ფიზიკურ-მექანიკურ საშუალებით. დილის 8—11 ს. საღ. 5—8 ს. დიდი ვანქის ქ. № 6. ტელეფონი 1107. 791

სამტრედიაში

ექიმი ე. ქ. აბულაძე ჩამოვიდა და იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე. აგრეთვე **სწამლობს 606-ით.** 1576

ექიმი ს. ი. ბძელიშვილი შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე. იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებოო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელისაბედ. ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ.** 1530

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ტფილისი, 8 ნოემბერი

ვარშავის არჩევნე- [illegible] ზეთებში, ისე რუსულ პრესაში. ვარშავაში დეპუტატად აირჩიეს პოლონელ სოციალისტთა პარტიის წევრი —მუშა იაგელლო, რომელსაც მხარს უჭერდნენ ებრაელი ამომრჩევლები. ამ გარემოებამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია პოლონეთის ნაციონალისტურ პრესაში. სხვათა შორის ამ უთანხმოებამ, რომელიც პოლონეთის ნაციონალისტებსა და ებრაელებს შორის არსებობდა, რაოდენადმე დაჰხარა კადეტების ლიდერი მილიუკოვი, რომელმაც პეტერბურგში თავის ამხანაგებზე ნაკლები ხმა მიიღო. პეტერბურგში პოლონელებმა მხარი დაუჭირეს კადეტთა სიას, მაგრამ სიიდან ამოშალეს მილიუკოვი და იმის ადგილას ჩასწერეს სოკოლოვი. მილიუკოვი დეპუტატად მაინც გავიდა, მაგრამ შინგარიოვსა და როდიჩევზე ნაკლები ხმა კი მიიღო. ამით პოლონელებმა უნდობლობა გამოუცხადეს მილიუკოვს.

რომ გავიგოთ, რად მოჰხდა ასე, ცოტა რამ წარსულიდან უნდა მოვიგონოთ. მესამე სათათბიროში პოლონელმა ნაციონალისტებმა ებრაელთა უფლებების შეზღუდვა მოისურვეს პოლონეთში. ეს იყო ებრაელების წინააღმდეგ მიმართული აგრესიული აქტი პოლონელ ნაციონალისტების მხრით, და რუსეთის საზოგადოების პროგრესიულმა ნაწილმა კიდეც დასდო სამართლიანი მსჯავრი.

პოლონელები უკმაყოფილონი არიან მილიუკოვით, რომელმაც შოვინისტური მიმართულება პოლონელებისა დაჰგმო და საჯაროდ აღიარა, თუ პოლონელებს თავისთვის უნდათ გათანასწორება, სხვებს აღარ უნდა მოუსპონ იგი. ეს სამართლიანი შეხედულება პოლონელმა ნაციონალისტებმა მილიუკოვს არ აპატიეს.

ებრაელებსა და პოლონელ ნაციონალისტთა შორის ბრძოლა, რა თქმა უნდა, სათათბიროს კედლებში ვერ მოემწყვდეოდა. იგი ფართო მასასაც მოედო. ებრაელებს იმედი არა ჰქონდათ, რომ თავის საკუთარ კანდიდატს გაიყვანდნენ და ამიტომ მხარი დაუჭირეს პოლონელ სოციალისტს იაგელლოს. ეს იყო ბუნებრივი პროტესტი ებრაელ ამომრჩევლებისა.

ეს ფაქტი მრავალის მხრითაა საინტერესო. იგი ნათლად ამტკიცებს რომ ეროვნულ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა არა უარყოფა საკითხისა, არა გამოთქმა საზოგადო ფორმულისა ერთა თანასწორობის შესახებ, არამედ გამოძებნა ეროვნულ ინტერესების შემათანხმებელ საშუალებისა.

პოლონეთის ავტონომიას თავის თავად ვერ შეუძლიან უზრუნველჰყოს ეროვნულ უმცირესობათა უფლება, თუ იგი მხოლოდ ერთა ფაცირესობათა უფლების უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ საერთო კანონმდებლობით განსაზღვრულ იურიდიულ ნორმებით. ასეთს ნიადაგზე დგანან არა მარტო უკიდურესი დემოკრატიული პარტიები, არამედ კადეტებიც.

პოლონელ ნაციონალისტებს, როგორც ეტყობა, ეს საანბანო ჭეშმარიტება დაავიწყდათ, ან არ მოისურვეს მისი დახსომება. დათესილი კიდეც მოიმკეს. სინამდვილემ და ნათლად გამოხატულმა საზოგადოებრივმა აზრმა დაანახვა, რომ ნება არა გაქვს მოითხოვო შენი უფლებების პატივისცემა, თუ სხვის უფლებებსაც არა სცემ პატივსა.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ხორცის ახალი ნიხრი** ქალაქის გამგეობამ გუშინ დასამტკიცებლად გუბერნატორს გაუგზავნა.

◆ **თავის მოკვლის განზრახვა.** 6 ნოემბერს საწამლავი დალია ავლაბრის კლუბის ლაქიამ ნიკოლოზ სვიმონის ძე მუსატკინმა (38 წლისა) მისი მდგომარეობა საშიშია

— ამავე დღეს, საღამოს $10^1/_2$ საათზე, კაპიტანის შვილმა ბორის ადამის ძე გენიკმა ტფ. მეორე გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოსწავლემ, თავის მოკვლის განზრახვით, აიღო მამის თოფი და გულში დაირტყა. ტყვია საავადმყოფოში ამოაცალეს მისი სიცოცხლე განსაცდელშია.

◆ **ბავშთათვის მზრუნველი საზოგადოება** 10, 11 და 12 ნოემბერს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში საქველმოქმედო ბაზარს მართავს თავის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

◆ **ჭერი ჩამოინგრა.** გუშინ, დილის 11 საათზე, ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოს ერთ ერთს კაბინეთში, სადაც ექიმი მელქუმოვი ავადმყოფ ქალს სინჯავდა, ჭერი ჩამოინგრა. არავინ დაშავებულა. როგორც გავიგეთ, შენობა ამას წინად მომხდარ მიწის ძვრას დაუზიანებია. შენობა ქალაქის ინჟენერს მელიქ-ბეგლიაროვს შეუმოწმებია და საჯაროდ უთქვამს, თუ აქ რამე მოხდება შენობის დაზიანების მიზეზით-პასუხის მგებელი მე ვიქნებიო.

◆ **ვაკეს უმთავრეს ქუჩაზე ქვაფენილის დასამთავრებლად** ქალაქის საბჭომ 7,130 მან. გადასდო. ეს დადგენილება ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს უკვე წარუდგინა დასამტკიცებლად.

◆ **გამოფენა.** აღდგომის წინა დღეებში საუკეთესო ჯიშის ფრინველთა გამოფენა გაიმართება.

◆ **უხვი შემწირველნი.** ცნობილმა ქველმოქმედებმა ძმ. ზუბალაშვილებმა [illegible] შესწირეს. ამის გამო ქალაქის გამგეობამ დაადგინა, წინადადება მისცეს ქალაქის საბჭოს, რათა ძმ. ზუბალაშვილები ტფილისის საპატიო მოქალაქებად აირჩიოს.

◆ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ნ. ფ. რუდოლფი** ტფილისში დეკემბრის პირველ რიცხვებში დაბრუნდება. იგი ამ ჟამად წასულია რუსეთის ქალაქების პოლიტეხნიკუმთა შესასწავლად. ტფილისში დაბრუნების შემდეგ შეუდგება ტფ. პოლიტეხნიკუმის გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას.

◆ **მეღვინეობისა და მევენახეობის კომიტეტმა** უფროსი ინსტრუქტორი ი. იოსელიანი ტფ. მაზრაში გაგზავნა ვაზის სანერგეთა დასათვალიერებლად.

◆ **რედაქციამ მიიღო დეკანოზ კორ. ს. კეკელიძის** მიერ შედგენილი წიგნი „Древне-грузинскій архіератиконъ“ (უძველესი ქართული არქიერატიკონი), გამოცემა საეკლესიო მუზეუმის კომიტეტისა. წიგნი დიდი ზომისაა, რუსულად ჩართული აქვს წინასიტყვაობა, დაბეჭდილია ხუცურად, შეიცავს 150 გვერდამდე და ფასად ერთი მანეთი აწერია.

სასწავლებლებში

◆ **ოსური სკოლა.** ქალაქის საბჭომ 600 მ. გადასდო კუკიის მეცხრე პირველ-დაწყებით სასწავლებელთან ოსურ სკოლის დასაარსებლად.

◆ **ტფ. საბალოსნო სასწავლებელში** ამ რამდენისამე წლის წინად ვილაცის მეოხეობით მეტად უცნაური წესი შემოუღიათ: გაკვეთილები იქ თურმე იწყება დილის 6 საათზე მაშინ, როდესაც ასეთი რიგი სწავლის დაწყებისა არც ერთს სასწავლებელში არ არსებობს. ამ გარემოებისთვის ყურადღება მიუქცევია სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭოს, რომელმაც დაადგინა, აღძრას კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წინაშე შუამდგომლობა, რათა სასწავლებელში სწავლების საქმე წესიერ კალაპოტში ჩააყენოს.

სასამართლო

◆ დღეს ტფილისის ოლქის სასამართლოში განხილულ იქნება საქმე ჟურნალისტის ლევან ყიფიანისა, რომელიც პასუხისგებაში მისცა გორის ბოქაულად ნამყოფ თავ. დ. ციციშვილმა, ბაქოს გაზეთში მოთავსებულ წერილის გამო, სადაც იგი სწერდა თავ. ციციშვილის მიერ გ. ნაკაშიძის ხელით შეურაცხყოფის თაობაზე, 1908 წელს სოფ. რუისში.

სომეხთა ცხოვრება

◆ განზრახულია, **სომხურ დრამატიულ საზოგადოებას** უწოდონ „კავკასიის სომეხთა დრამატიული საზოგადოება“. საზოგადოებას ნება [illegible] თავისი განყოფილებანი დაარსოს.

შეცდომის გასწორება გუშინდელ ნომერში მოთავსებულ წერილში „ფუტკარი და მეფუტკრეობა“ შემდეგი შეცდომებია;

დაბეჭდილია	**უნდა იყოს**
მარფი	მართვე
ქერტლი	ქარტლი
დორვინები	ლორფინები
ყოფიერებული	განაყოფიერებული
მისვენების ხანა	მოსვენების ხანა
მოწერია	მწერია
ცქვიტი	ცქიტი

დეპეშა

ხონი.

განსვენებულ საზოგადო მოღვაწის პატივცემულ ივანე სვიმონის ძე შარაშიძის დამმარხველმა კომიტეტმა, თანახმად განსვენებულის სურვილისა, გადასწყვიტა, გვირგვინების მაგიერ განსვენებულის პატივისმცემელთაგან მიიღოს შემოწირულება ფულად ხონის სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ. განსვენებულის გვამს საკუთარის სახლიდან გამოასვენებენ კვირას, 11 გიორგობისთვეს დილის 10 საათზე წმინდა გიორგის საკრებულო ტაძარში.

კომიტეტის თავმჯდომარე
ჯორბინაძე.

ბამბის მრეწველთა კრება.

6 ოქტომბერს, უკანასკნელ კრებაზე განხილულ იქმნა პირველი მეორე და მესამე სექციის დასკვნანი. პირველი სექცია მუშაობდა **ბ. ტარატინოვის** თავმჯდომარეობით და კრებას დასამტკიცებლად შემდეგი თეზისები წამოუყენა: სექციამ სცნო, რომ ხალხისათვის ბამბის საუკეთესო თესლის გამოწერა უმთავრესია, ამიტომ სექციამ დაადგინა: ჯერ-ჯერობით გაავრცელოს სპეციალისტებისა და ინსტრუქტორების დახმარებით ცნობები საუკეთესო ხარისხის თესლზე და მისი შეძენის შესახებ. აგრეთვე საჭიროდ სცნო შეაგროვოს რაც შეიძლება მეტი საუკეთესო ხარისხის თესლი; ამისათვის: 1) გაკეთდეს მთავრობის ხარჯით სათესლე პლანტაციები, 2) ინსტრუქტორებმა თვალყური ადევნონ თესლის კერძო გამყიდველთა და მრეწველებს, 3) საკრედიტო ამხანაგობებთან მოეწყოს საგლეხო კოოპერატიული ბამბის ქარხნები; 4) დაეხმაროს მთავრობა ასეთ კოოპერაციებს ქარხნების მოწყობაში და ნაწარმოების გასაღებაში, 5) გადაირჩეს აქაურ მოსავლიდან საუკეთესო თესლი.

რადგანაც ბამბის მრეწველობა თან და თან ეცემა, სექციამ საჭიროდ სცნო: 1) ხელი შეუწყონ რაციონალურ თესვას და ბამბის ნათესში თხლად აურიონ ლობიოს თესლიც. 2) ბროშიურებისა, წიგნაკებისა, პლაკატებისა და სამაგალითო მინდვრების შემწეობით გა[illegible] ბამბის რაციონალურ კულტურას. 3) გაიხსნას სასოფლო სამეურნეო იარაღების საწყობები ბამბის მრეწველობის მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში, 4) ყოველ მხრივ შესწავლა ბამბის მავნე მწერთა, რათა შეიმუშაონ მათთან საბრძოლველი ზომები. 5) ინსტრუქტორებს მიეცეთ საჭირო სამკურნალო მასალა, იარაღები, და სასოფლო სამეურნეო მანქანები გარდა ამისა მიწის გასანოყიერებელი მასალები. 6) ტფილისის საბოტანიკო ბაღთან დაარსდეს სპეციალური კაბინეთი ბამბის მცენარის ავადმყოფობის გამოსაკვლევად, გამოიწერონ სპეციალისტები „ფიტოპ[illegible]“, „მი[illegible]ები“ და „ენტომ[illegible]“ 7) საჭიროა რომ კანონ-დებულება [illegible] ორგანიზაციების შესახებ [illegible] განხილული რათა ბოროტმოქმედება შემცირდეს. საჭიროა ახალ კანონდებულებათა შემუშავებაში მონაწილეობა მიიღონ მცხოვრებათა და სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენლებმა.

კრების თავმჯდომარემ სენატორმა **ს. ა. ვატაციმ** აღნიშნა, რომ სექციის ყველა დებულებანი საყურადღებოა. სექციას არ განუხილავს ის საკითხი, რომ საერობო თანხიდან გადადებულ იქმნა 10.000 მანეთი. რა გზას უნდა დაადგეს კრება? ბამბის თესლის პლანტაციების მოწყობას დიდი დრო სჭირია, ამისათვის ამ თანხით დაიბარონ საუკეთესო თესლი ფერგანის ოლქიდან.

ი. გ. ქუთათელაძე დასავლეთ საქართველოს ტყუილად სწამებენ, ვითომც იქ ბამბის მრეწველობა დაეცაო. თუ ამ ცხრა წლის წინედ მხოლოდ 2000 ფუთი ბამბა მოსულა უკანასკნელ წლებში 30,000 ფუთზე მეტი მოვიდა. თუ კრება თესლს დაიბარებს დასავლეთ რაიონისათვის საჭიროა ეგვიპტის თესლის გამოწერა, რადგან ამ თესლს ხალხი დიდი ხანია შეეჩვია.

თავმჯდომარე. იმას არ ვეხებით, თუ თესლს საიდან დავიბარებთ, მხოლოდ პრინციპიალურად გადავწყვიტოთ საკითხი.

კრებამ დაადგინა, 10,000 მანეთი თესლის გამოწერას მოხმარდეს.

შემდეგ თავმჯდომარე შეეხო მუშების სიმცირეს ბამბის პლანტაციებში.

თავ. მასალსკი. თუ მუშა ხელი მცირეა, იმიტომ რომ მიწა ბლომადაა და მცხოვრებნი კი ცოტაო. მუშების დაბარება შიდა რუსეთიდან და ან კირგიზების ჩამოყვანა არ არის სასურველი. რა უნდა გააკეთონ აქ კირგიზებმა სანამ არ შეეჩვევიან ადგილობრივ ჰავის და ცხოვრების პირობებსაო. ორატორის აზრით ერთად-ერთი სურვილი, რომელიც კი შეიძლება კაცმა იქონიოს ამ საკითხის შესახებ არის; რომ მორწყულ მიწებზე შიდა რუსეთიდან მოსული ხალხი დაასახლონ; მაშინ მუშების რიცხვიც საკმაო იქნებაო.

სენ. ვატაცი უპასუხებს თავ. მასალსკის, რომ ასეთი ზომა მიზანს არ მიგვაწევინებსო. ეხლა მუშები მოჰყავთ სპარსეთიდან, რომელნიც ფასს ხელოვნურად სწევენ მაღლა, მაშინ, როდესაც აქაურები ორჯელ ნაკლებ ფასად მუშაობენ სხვა ადგილებში. საჭიროა საშუამავლო ბიუროს დაარსება და ხალხში ცნობების გავრცელებაო.

თავ. მასალსკი მაინც თავისას იმეორებს, რომ აუარებელი მიწებია თავისუფალი; ეს მიწები გადმოსახლებულთ უნდა მიეცეს და რაც

ვლ. ალექსი მესხიშვილი ურიელ-აკოსტას როლში

შეუდარებელი ათლეტი, ძალღონით აღსავსე ჯაბუკი, რომელიც მშვენიერებით მხოლოდ იმიტომ იმოსება, რომ თვით ბუნებამ მშვენებისა სიმბოლოდ შეჰქმნა, ქედ-მოუხრელი გალილე და ენა დაუშრეტელი მჭერმეტყველი, ვით სალმრთო ტაძრის ღმერთთა მოშურნე ქურუმი, მოციქული ახალ-ცხოვრების, რომელიც ერთი კვერთხის დარტყმით ძველ კერპებს ამხობს და გზას უკაფავს ახალ-ცხოვრების განთიადის სასრბოლველ ნავსა, ხან წარბ-შეუხრელი მომქუხარე, ვით განრისხებულ იუპიტერის მიერ ახმაურებული მთა-გრეხილი, ხან კი მინაზებული, ვითა მომწყემსე ანგელოზის უმანკო კრავი, თვით სათნოება სათნოების და მორცხვ ქალწულთა თავის წონება, რომელთაც ჰაეროვანი კოცნაც კი ლაწვებს უქარგავთ სიწითლითა,—აი ის ყოვლად შემკული თაიგული, რომელიც არა ერთხელ და ორჯელ მოუწოდებია ჩვენთვის ჩვენი მელპომენის აპოლლოს ვლ. ალექსი მესხიშვილს **ურიელ-აკოსტას** განსახებით! წარსულ კვირასაც, თითქოს ჰსურს დამსწრე საზოგადოებას დაანახვოს, თუ რაში უნდა გამოიხატებოდეს შემოქმედების დანიშნულება ხელოვნების სფეროშიო, იგი აღფრთოვანებულ ჭაბუკის ცეცხლით გადმომდგარიყო და საოცარის ენერგიით ეკვეთებოდა საუკუნოებით განმტკიცებულ უგუნურობას, მერე ისე თამამად, ისეთის ხალისით, თითქოს მის თავზე ცხოვრების ქარიშხალს ოდნავაც არ გადაუვლია და ჯერ კიდევ სიბრძნის ნიშნად სიბერეს თმა სალმრთო თრთვილით არ შეუვერცხლნიაო, ერთ მხრით ალერსი, მიყუჩებული ხმატკბილობა, ვით დამცხრალ მთიების ციაგობა გარს შემორტყმულ ვარსკვლავთა ჯარის წინაშე, აუწერელი სინაზე, რომელსაც ძალად აქსოვებდა თავის გატეხილ ხმას, რის გამოც ბგერა უფრო კეკლუცი ხდებოდა და ხავერდოვანი რითმიული ტალღებით ილულებოდა უზენაეს ტრფიალების გაშლილ ფურცლებში **ივდითის** (ქ-ნი ნ. დავითაშვილი) წინაშე, ხან აღელვება, ფაფარ წამოშლით ყალყზე შედგომა, როდესაც უგუნურ რაბინთა წინაშე იძულებულსა ჰყოფენ უარი ჰყოს ნახული სინათლე,—აი ის მრავალფეროვანი სურათი, რომლის პერსპექტივების იქით გაგვიშალა ჩვენმა ძვირფასმა მსახიობმა სიკეკლუცე და მრისხანება, ნარნარება და შემაძრწუნებლობა, საერთოდ კი... ღვთაებრივი სანახაობა! და თუ მივიღებთ ჩვეულებრივ მოლაყბეთა აზრს ვითომც რომანტიზმი, ეპოპეა, იდილლია თუ ელეგია იგივე არის რაც **იდეალიზმი,** ხოლო ყოველი ზარი და შემაძრწუნებლობა **რეალიზმით,** მაშინ უნდა შევთანხმდეთ, რომ ჩვენი მელპომენის სიამაყე ვლ. ალექსი-მესხიშვილი შეუდარებელი ყოფილა ამ ორს უკიდურესობის შესათანხმებლად. და მართლაც: სიმშვენიერე, ახოვნება, ფიზიკური სისრულე თითქოს ანტიურ ქვეყნის ამეტყველებულ აპოლლოს ქანდაკი ყოფილიყოს, სპეტაკი სული თუ მორალური სიკეთილშობილე საუცხოვო კონცეპციად იკვრება მის ხელში და რეალიზმის ეკრანზე წარმტაც ფერებით სურათდება.

აი, აკოსტა თავის პატივცემულ მასწავლებელ **დე სილვასთან** (ვ. შალიკაშვილი) სდგას. ეს უკანასკნელი უკმაყოფილოა, რომ მისი მოწაფე, რომელიც ბავშვობის დროს მის ფერხთან იჯდა და „აზრთა სისპეტაკეს“ სწავლობდა, დღეს „წინ აღუდგა თავის წიგნით“. მაგრამ ურიელ ამ შემთხვევაშიც როდი მედიდურობს, ის მხოლოდ მოიბოდიშებს და საყვარელ მასწავლებელს შეჰნიშნავს ტკბილად, ებრაულ დოღმატებს ჰაზრი მოვფინე არა იმიტომ, რომ მე მეპოვნოს ჭეშმარიტება

„რომელიც ყველას უნდა მიაჩნდეს
ჭეშმარიტებად; ოჰ, არა, სილვა!
მე მხოლოდ ჩემმა უმეცრებამა
მიბრძანა მეთქვა; ჩემმა სიბრმავემ
მიბრძანა ხილვა; ჩემმა სიყრუვემ
მიბრძანა სმენა...“

თითქოს გამოცხადების დროს დამცხრალი წინასწარმეტყველი ყოფილიყოს, ამ განდობის შემდეგ იგი ჰპოვებს მეტად საუცხოვო ინტონაციას, რომელშიაც უზომო სიყვარული და უღრესი პატივისცემა იხატება მის მასწავლებლის წინაშე, იმ მასწავლებლის წინაშე, რომლის გონებას ისეთი წყვდიადი მოჰფენოდა, როგორც ამ ჟამად ეფინება ქვეყნიერებასაო. დე სილვაც უსმენს მოწიწებით და ოდნავაც არა შფოთდება მის მხილების დროს. ან ვის აშფოთებდა უმანკო კრავის მეტყველება, უხადო კილო, რომელშიც მხოლოდ ერთს კეთილშობილებას დაედო ბინა?

„მე მოველ აქ, რომ ვუთხრა მშვიდობით
არა მაგ შენსა მძულვარებასა,
არც შენს შერყეულს ფილოსოფიას,
არც შენს გონებას, სიბნელით მოცულს,
იმგვარ სიბნელით, როგორიც აი
ქვეყნიერებას აწ ეფინება,—
არა, მე მოველ გამოვეთხოვო
მეგობრულადა შენს ჭაღარა თმებს!..“

მაგრამ ეს მხოლოდ მასწავლებელთან! ნუ იფიქრებთ, იგი ყოველთვის ასეთია! არა! მის კილო სწრაფად ჰპოვებს რისხვის ისრებსა, როდესაც მის პირადობას ეხებიან, ანუ მის სულის საუნჯეს, მის იდეალთა იდეალს—ივდითს, რომელზედაც მის ნაძალადევ საქმროს **ბენიოხაის** (ი. ზარდალიშვილი) სასტიკად ამცნო:

„იგი ცით ქვეყნად მოვლენილია,
მას ქვეყნიური არა რა აქვს-რა
იგი ციური საუნჯე არის,
ანგელოზია, რომელსაც ფიქრად
მოსვლია ქვეყნად ჩვენთან ჩამოსვლა“.

უნდა გენახათ ამ დროს იგი, როგორ ჰკუმშავდა ბრაზით ტუჩებს, როგორ იკავებდა მღელვარებას და მაშინ მიხვდებოდით, თუ რა ტრაგიზმს განიცდიდა ამ დროს მსახიობი, რომელმაც გადმოხეთქილ ტალღას პირი შეუკრა, მხოლოდ იმიტომ, რომ ოდნავი შენიშვნით ეგრძნობინა თავხედ ბენიოხაისთვის, თუ ვისთან იქერს იგი საქმეს.

„ნუ, ნუ შეახებთ მას იმა ხელსა,
რომლითაც თქვენა ცოტა ხნის წინად
ურევდით ბილწსა ოქროს და ვერცხლსა!
თქვენ იმაზედა უნდა ილოცოთ
ვით ღვთაებაზე“!...

ეუბნება აკოსტა. მაგრამ ეს რაა! უნდა ნახოთ მეორე მოქმედება. აკოსტა ივდითთან—ამ „ქვეყნად მოვლინებულ ანგელოზთან“, რარიგი ნარნარებით შეხმატკბილდნენ! ქ-ნი დავითაშვილიც საუცხოოდ უწყობდა ხელსა, ორივემ ერთად თითქოს წუთით შეჰქმნეს უმანკო სიყვარულის ერთსახეობა, თვალწინ გაგვეშალა ტრისტანისა და იზოლდის სიყვარული, რომელნიც უმალ სიკვდილზე დასდებენ თავს, ვიდრე ტლანქ სარეცელზე სულის სისპეტაკეს შეჰბღალავდნენ! აქ, ამ მომენტში გადიშლება ხელოვნების უაღრესობა და მადლიერს თვალზე ცრემლები გესხურებათ, რომ მიწიერთ ზეციურ გრძნობათა განცდა ასე ლამაზად შესძლებიათ ძირს ჩამოტანა. ივდითი, ეს ურიელის სიყრმის მოწაფე, ნაცნობ ყვავილებზე მიუთითებს და თითქოს ჰსურს თავზე შემოევლოს თავის მასწავლებელსაო, უზენაესი სიყვარულით ატკბობს მას უმანკო ხანის მიმოგონებით, როდესაც აკოსტა მის გონების განსპეტაკებას სცდილობდა გულით. ყური მიუგდეთ ივდითის სალმუნებას იმ დროსაო.

„რაღაც საოცარ მომრგო შუშაში
შენ მახედებდი და მაჩვენებდი
ბუნება სულსა ვით ჰმორჩილებსო“.—

მაგრამ ურიელს მიმოგონება შუბლს შეუკრავს, ნაღვლის ჰირბადე ეფარება სალმრთო სახეზე და წყნარად აძლევს პასუხს, რომელშიც ვინ იცის, რაოდენი მწუხარება არ ჩააქსოვა! მერე კილო, ეს პათეტიური კილო ხომ ყოველისფერს აღემატებოდა:

„ოჰ, ივდით, ივდით! ცხარე ცრემლებით
ამ ყვავილების ყველა ფურცლებზე
დაწერილია ყოველივე ის,
რაც რომ ვიყავით ერთმანეთისთვის...
მაგრამ ყველა ეს მორჩა... დასრულდა...“

„მაგრამ ყველა ეს მორჩა.... დასრულდა...“

ამას თან მოჰყვა ამოკვნესა, რომელმაც ელექტრონსავით გაიარა მთელს დარბაზში. ეს იყო ერთგვარი მსოფლიო მწუხარების ხელ-ჩაქნეული „მორჩა-გათავდა“, რომლის იქით აღარავითარი იმედის სხივი ვერ იკრთოლებს თუნდ წამით მაინც! „მორჩა... გათავდა...“ ეს უიმედობის ტალღის ნაკვნესი, თვით სასოწარკვეთილების ძახილი გახლდათ, რომელსაც სიტყვა ეჭირვება, რომ ოდნავ მაინც გაქარვება იგრძნოს ლოდების! „მორჩა... გათავდა!..“ მცირე ჟესტით საკმარისი ჰყო მსახიობმა, რომ განცდის კარის ბჭე დაგვენახათ, სადაც შიშის ჟრუანტელს მოჰგვრის არა მარტო მას, ვისაც მზგავსი რამ განუცდია თვის ცხოვრებაში, არამედ ყველას, იმასაც კი, ვისაც, შესაძლებელია, გულის ძაფები ბაწრის ბადით არ შეჰხუთვია. მსახიობმა! სძლია ხელოვნება, იგი მისი გამგებელი ქურუმი იყო, რომელმაც, ერთად გადახლართა სინამდვილე და ოცნება, ხელოვნება და თვით ცხოვრება!

მაგრამ სისრულემდინ ჯერ კიდევ შორს ვართ: მე გაგახსენებთ არა იმ სცენას, როდესაც ურიელის განწირულ ძმებს მისი ბრმა დედა შემოჰყავთ, არც თუ ტრაგიზმით სავსე მომენტს, რომელიც, ვინ იცის იქნებ ეხლაც, ყურს გიკვეთავთ ურიელის გულით ამოკვნესილ ხმის გაგონე-

მეტი მცხოვრებნი იქნებიან, მრეწველობისათვის მით უკეთესია.

ბ. ტრატინოვი. თავ. მასალსკის მოსაზრება არ არის მართალი. გადმოსახლებულნი ვერას უშველიან მუშათა რიცხვის გამრავლებას.

ვ. ი. რცხილაძე. მასალსკის აზრი ვერ გავიგე. შეიძლება იყოს თავისუფალი ადგილები; მაგრამ შიდა რუსეთიდან ხალხს რომ ჩამოიყვანთ, ხელს შეუწყობთ, რომ მან თავისი მეურნეობა შექმნას, მაშინ ისინი მუშები კი არა მემამულენი იქნებიან და არასდროს არ წავლენ ბამბის პლანტაციებზე სამუშაოდ. ამ მხრით მუშათა რიცხვს ვერ მოუმატებთ. მუშების სიმრავლე იმას არ ნიშნავს, რომ ადგილობრივ მჭიდროდ დასახლებული ხალხი არ იყოს და მიწები არ ესაჭიროებოდეს. საჭიროა კაცს არაფერი ჰქონდეს, რომ სხვაგან წავიდეს სამუშაოდ.

თ. ვ. ჯორჯაძე რუსეთის მცხოვრებთ ნაკლება აქვთ მთელ იმპერიაში ეძებონ და მიიღონ სამუშაო და აგრეთვე მამულებიც. მაგრამ უსამართლობა იქნება როდესაც ადგილობრივი მცხოვრებნი შიმშილით იხოცებოდნენ და თქვენ რუსეთიდან გადმოსახლებულთ მისცეთ მისი ლუკმაო.

თავმჯდომარე. ნებას არ აძლევს გააგრძელოს სიტყვა.

პირველი სექციის წინადადებითა შესახებ კამათი მოისპო დ თავმჯდომარემ კენჭი უყარა. სექციის რედაქცია მიღებული იქმნა ერთხმად.

არჩევნების შემდეგ

პეტერბურგში გაიმართა ოქტომბრისტ დეპუტატების თათბირი, რომელზედაც გამოირკვა, რომ ოქტომბრისტთა დროშით გასულა 107 დეპუტატი. ამათგან 17 თვით ოქტომბრისტებსაც საეჭვოდ მიაჩნიათ. ოქტომბრისტების აზრით, პრეზიდიუმის ადგილები ამნაირად უნდა განაწილდეს: ორი ადგილი მემარჯვენეებსა და ნაციონალისტებს უნდა მიეცეს, ორი-ოპოზიციას, ერთიც—ოქტომბრისტს. თავმჯდომარის კანდიდატად ასახელებენ მემარჯვენე თ-დ ვოლკონსკის, მის უფროს თანაშემწედ—პროგრესისტ ეფრემოვს. ოქტომბრისტებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ სათათბიროს კომისიებში 40% ადგილებისა მიეცეს მემარჯვენეთ, ამდენივე ოპოზიციას, ოქტომბრისტებს კი—20%.

როგორც ირკვევა, პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს ცნობები ამორჩეულ დეპუტატთა პოლიტიკურ მიმართულების შესახებ მართალი არა ყოფილა, სათათბიროში უკვე ასი დეპუტატი ჩაწერილა და აქედან 51 ისეთი ცნობა მიუცია თავის მიმართულების შესახებ, რანაირიც პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს მიერ გადმოცემულ ცნობებს არ ეთანხმება. სააგენტოს ცნობით მემარჯვენე უნდა ყოფილიყო 20, პირადის განცხადების მიხედვით არც ერთი არ აღმოჩენილა; ნაციონალისტი და ზომიერი სააგენტოს ცნობით უნდა ყოფილიყო 6, ნამდვილად აღმოჩნდა 2, ოქტომბრისტი უნდა ყოფილიყო 8, აღმოჩნდა 13, პროგრესისტი უნდა ყოფილიყო 9, აღმოჩნდა 13, კადეტი უნდა ყოფილიყო 2, აღმოჩნდა 14, როგორც ჰხედავთ, განსხვავება ძალიან დიდია.

ტავრიდის სასახლეში ხმა გავრცელდა, ოქტომბრისტებს აზრადა აქვთ გაშავებულ ლერხეს ნაცვლად საფინანსო კომისიის თავმჯდომარედ შინგარიოვი აირჩიონ. ოპოზიცია ამ ხმებს არ უჯერებს—ეს ოქტომბრისტების ჩვეულებრივი ხრიკია, ამით უნდათ დაეთანხმნენ მემარჯვენენი და მემარცხენენი.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

ბულგარეთის მხრით

სტამბოლი. ნაზიმ-ფაშა ტელეგრაფით იტყობინება: 5 ნოემბერს ზარბაზნების სროლა გრძელდებოდა. ბრძოლა წინანდელსავით მწვავე არ იყოო. ბულგარები იერიშის მიტანას აპირებდნენ, მაგრამ ოსმალებმა უკუაქციეს.

სერბიის მხრით.

ბელგრადი. მთავრობის გაზეთი „სერბსკო ნოვინე" გვატყობინებს აღმოსავლეთის ყოფილი რკინის გზები—რისტოვაც-ბელესი დ უსკიუბი—მიტროვიცი სერბიელების ხელში გადავიდა. სერბიელებს დაჭრილი ჰყავთ 15,000 ჯარის-კაცი. სერბიაში ოსმალელი ტყვე 10.000 ჯარის-კაცია, 200 ოფიცერი.

ბელგრადი. მონასტერის ბრძოლის დროს სერბიელებმა ბევრი ტყვე წაიყვანეს მათ რიცხვში არიან ფედრი-ფაშა, ყარასაიდ-ფაშა, ჯავიდ-ფაშა.

საბერძნეთისა და ჩერნოგორიის მხრივ.

ცეტინიე. 4 ნოემბერს ოსმალები შეეცადნენ დაეჭირათ მედუას მახლობელი პოზიციები. ჩერნოგორებზე იერიშით მივიდნენ ბრძოლა სასტიკი შეიქმნა. ოსმალები სცდილობდნენ თეთრი ბაირაღის აფრიალებით ჩერნოგორელები მოეტყუებინათ. ჩერნოგორელები როცა მიუახლოვდაენ ოსმალებმა სროლა აუტეხეს, რასაც სროლითვე გასცეს პასუხი ჩერნოგორელები ალექსიოსკენ მიდიან.

რეკა. ოფიციალურად იტყობინებიან სერბიელების და ჩერნოგორიის ჯარის მიერ ალესიოს აღებას.

ათინა. ეგეის ესკადრის უფროსი ქიმარის და იკარის კუნძულის აღებას იტყობინება.

ოსმალეთი

სტამბოლი. სტამბოლში მოიყვანეს დაჭრილი მაჰმუდ-მუხტარი.

სტამბოლი. ოტომანის სააგენტო იუწყება: ამ ბოლო დროს შეიპყრეს ორმოცი კაცამდე. პორტა ამხნევებს ჯარის-კაცებს და აფრთხილებს სულით არ დაეცეს იგიო.

სტამბოლი. სტამბოლში თანდათან გამოქცეულთა რიცხვი მრავლდება. უცხოელთა გემები მოვიდნენ მათ თვისი ალაგები შესცვალეს. ქალაქში ჯერ-ჯერობით მშვიდობიანობაა. ხალხი მოუთმენლად ელის თუ რითი გათავდება საქმეო. მიუხედავად ოფიციალი ცნობისა ხალხი ოსმალეთის ჯარის მხნეობას არ იჯერებს.

სტამბოლი. ალბანელ ხალხის წარმომადგენლებმა ელჩებს მემორანდუმი წარუდგინეს, რითაც ალბანელები მოითხოვენ ალბანეთის სრულ დამოუკიდებლობას და მის უფლების დაურღვევლობას.

ბულგარეთის მხრივ

დროებითი ზავი არ მოხდა.

ბულგარეთისა და ოსმალეთის მთავრობათა შორის გამართული მოლაპარაკება დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ უშედეგოდ გათავდა, რადგან ოსმალეთმა უარჰყო ბულგარეთის პირობები. ბულგარეთი მოითხოვდა ადრიანოპოლისა და ჩათალჯის სიმაგრეების დანებებას; ამასთანავე ოსმალეთს ახალი ჯარი აღარ უნდა გადმოეყვანა ევროპის მიწა-წყალზე.

ბულგარეთის გეგმა.

გაზ. „რეიხშპორტი" სწერს: ჩათალჯის ციხეთა აღების შემდეგ ბულგარეთის ჯარი დაუყოვნებლად სტამბოლისკენ გასწევს. სტამბოლში შესვლა იმ გვარადვე იქნება მოწყობილი, როგორც 1871 წელს გერმანელთა შეერთებული ჯარისა პარიზის აღების დროს. ბულგართა ლაშქარი დაჟინებით მოითხოვს ამას.

სტამბოლისკენ.

ხადემვიოდან (ოსმალეთის ჯარის მთავარი ბანკი) იუწყებიან; ჩათალჯის სიმაგრეებზე ოსმალები დიდ წინააღმდეგობას არ გაუწევენ ბულგარელებს, რადგან ზოგიერთ ფორტზე სრულიად არ არის არტილერია. ბულგარეთის ჯარი ადვილად მოუვლის სიმაგრეებს გვერდებიდან, ზღვის ნაპირებით, სადაც ოსმალნი ძლიერ სუსტობენ და იერიშით სულ ადვილად აიღებენ ამ მხრის სიმაგრეებს. უკვე დაიწყო ბრძოლა მარცხენასა და მარჯვენა ფრთებზე. მოვიდა ცნობა, რომ ბულგარელებმა სასტიკი ბრძოლით აიღეს ექვსი სიმაგრე, მათ რიცხვში ყარა-ბურუნი და ილდიზ-თაბია.

ჩათალჯის აღება?

გაზ. „მირი" იუწყება: ბულგარეთის ჯარმა გაარღვია ჩათალჯის სიმაგრეების რკალი, ოსმალთა მდგომარეობა უნუგეშოა.

ადრიანოპოლიც დაემხო?

ვენიდან ცნობაა, რომ 2 ოქტომბერს ადრიანოპოლი ბულგარელებს დანებდაო.

სერბიისა და ჩერნოგორიის მხრით.

სკუტარის ალყა.

ჩერნოგორია მთელს თავის ჯარს სკუტარის გარშემო აგროვებს, ის რაზმი, რომელიც ბერანესა და ბელოპოლიეს წინააღმდეგ იბრძოდა, სამხრეთის რაზმის დასახმარებლად წავიდა, ღენ. ვუკოტიჩის ჯარი დიდი დაბრკოლებით იძვრის თოვლიან მთებში შიდა მალესიისაკენ (ჩრდილო ალბანეთი).

სერბიელების დასახმარებლად.

საბერძნეთის მეორე ლაშქარი ტახტის მემკვიდრის წინამძღოლობით სალონიკიდან შიდა ალბანეთისკენ წავიდა სერბიელების დასახმარებლად.

სერბიის სანაპიროები.

სერბიის მესამე ჯარი ადრიატიკის ზღვასთან მივიდა და დაიჭირა სანაპიროები სანჯიოვანი დი მედუიდან დაწყებული ნავთსადგურ დურაცომდე (ლეში). დაარსდა სერბის სანაპირო, საკუთარი მართველობითა და უფროსებით.

საბერძნეთის მხრით.

წმ. ათონის მთის დაპყრობა.

ადმირალი კუნდურიოტი იუწყება: 2 ოქტომბერს დავიკავეთ ქალკიდონის ნახევარ-კუნძული და წმ. ათონის მონასტერი.

დაპყრობილი ადგილების გაყოფვა.

„უტრო როსიის" კორესპონდენტს უბაასნია ბალკანეთის გამოჩენილ დიპლომატებთან დაპყრობილ ადგილების დაყოფვის შესახებ. ბაასიდან გამორკვეულა, რომ ბულგარეთი ოფიციალურად დაკმაყოფილდება ადრიანოპოლისა და ბიტოლის ოლქებით და ნავთსადგურ კავალით ადრიატიკის ზღვაზე. სერბიელები შეიერთებენ უსკიუბის ოლქს და ერთ ნავთსადგურს ადრიატოვის სანაპიროებზე, ბერძნები—ეპირსა და თესალონიას, ჩერნოგორელები სკუტარისა და პოდგორიცის ოლქებს. სალონიკი და სტამბოლი საიდუმლო შეთანხმების ძალით თავისუფალ ქალაქებად დარჩებიან.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები

ბელგრადი. გაზეთი „პოლიტიკა" სწერს: ავსტრია-ჰუნგრეთი სცდილობს შექმნას ალბანეთის ავტონომია, რათა ამით შეასუსტოს ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირი და თვით მოიპოვოს გასავალი ეგეის ზღვაზე და სალონიკშიო. ეს საკითხი წმინდა საპოლიტიკო საკითხიაო. ბალკანეთის კავშირი ვერ მოითმენს, ყაჩაღთა ტომი რაიმე უპირატესობით იყოს დაჯილდოვებულიო. ალბანელები ოსმალებთან ერთად მოკავშირე სახელმწიფოებს ებრძოდნენო, ისინი დამარცხდნენ და საჭიროა იარაღის დაყრაო. რაც შეეხება საკულტურო და საეკონომიო მხარეს, ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირი მუდამ მზად იქნება ბალკანეთში მოსახლე ერები ეროვნულად უზრუნველ ჰყოსო.

ბელგრადი. გერმანიის და იტალიის ელჩებმა ერთგვარი შეკითხვით მიჰმართეს პაშიჩს ადრიატის ნავთსადგურის თაობაზე. პაშიჩმა უპასუხა, რომ ამ საკითხის განხილვა ომის დასრულებამდე უნდა გადაიდოსო.

ბუდაპეშტი. ავსტრიის დელეგაციია გრაფ. ლატურნი განაცხადა: მონარქის სიბრძნე, სახელმწიფო მოღვაწეების თავდაჭერილობა, სიფრთხილე და მშვიდობიანის მოყვარეობა სიკეთეს გვიქადისო. სლოვენელმა კორეშეკმა სთქვა: ჩვენ მსურველნი ვართ მჭიდრო მეგობრული კავშირი ვიქონიოთ ბალკანეთის სახელმწიფოებთანო, მაგრამ მაინც ერთგულნი ვრჩებით მონარქიისაო. ჩეხელ გრუბანმა განაცხადა: სანამდის ვართ მომხრენი ბალკანეთის სახელმწიფოების, მანამ ისინი თავისუფლებისთვის იბრძვიანო. ორატორი მომხრეა ბერტჰოლდის პოლიტიკისა. საჭიროა მონარქიის ინტერესების დაცვაო.

რომი. იტალიის მოქმედება ბელგრადში წმინდა მეგობრული თვისებისაა. არავითარი ძალდატანება ამოქმედებდა, არამედ მხური რჩევა და მოგონება იმისა, რომ იტალია ალბანეთის საკითხის გამო პასუხის მგებლია სხვა სახელმწიფოების წინაშეო.

ბელგრადი. მინისტრთა საბჭოს სხდომებზე ჰმუშავდება ის პირობები, ოსმალეთის სახელმწიფოს რო უნდა წარუდგინონ.

პეტერბურგი. საზღვარ-გარეთელ გაზეთებში მოთავსებულია ცნობა, ვითომც რუსეთის მთავრობამ დაამტკიცა ბერძნების მიერ სალონიკის სამუდამო მფლობელობაო: ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია.

ბუდაპეშტი. სერბიის პატრიარქმა ბოგდანოვიჩმა განაცხადა, მიუხედავად სერბიელების სიყვარულისა და თანაგრძნობისა, ჰუნგრეთის სერბიელები მონარქიის ერთგულებად დარჩებიანო.

ვენა. „ნეი-ფრეი-პრესეს" სიტყვით, ავსტრიის ელჩი ბელგრადში ელჩი პროხასკის საქმის გამო ენერგიულად იმოქმედებსო. ავსტრია-ჰუნგრეთი არ აშურებს სერბიას ადრიატის ნავთსადგურის და ალბანეთის საკითხის პასუხითაო.

ბუდაპეშტი. ჰუნგრეთის დელეგაციაში გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს, მომხსენებელმა ნაგიმ მწუხარებით განაცხადა, რომ ბალკანეთში მოხდა ინციდენტი, რასაც აგრესიული ხასიათი აქვს ავსტრია-ჰუნგრეთის წინააღმდეგ მიმართულიო. ოფიციალ ცნობების უქონლობის გამო, მომხსენებელი ითხოვს მინისტრისგან საქმის გეშუქებას.

სოფია. დიდ-ვეზირის დეპეშის საპასუხოდ, ფერდინანდ მეფეს რომ გაეგზავნა,- მთავრობამ შეატყობინა პორტას, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა შეთანხმებით დანიშნავს რწმუნებულნი, რომელნიც ოსმალეთის ჯარის გენერალისიმუსთან ზავის პირობების შესახებ გაჰმართვენ მოლაპარაკებას. მთავრობამ დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, შუამავლობის წინადადების გამო, მადლობა გამოუცხადა და მოახსენა, რომ ეს საჭირო აღარ არის, რადგანაც პირ და პირ ოსმალეთთან გავმართეთ მოლაპარაკებაო.

გაზეთებიდან.

ევროპის შუამდგომლობა.

„რუსკოე სლოვოს" კორესპონდენტი იტყობინება სოფიიდან: დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლები გამოცხადდნენ ბულგარეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში და შემდეგი წინადადებით მიმართეს გეშოვს:

— ოსმალეთი სთხოვს ჩვენს მთავრობათ შუამდგომლობას ზავის საქმეში, ამიტომ გთხოვთ დაგვისახელოთ ის პირობები, რომლითაც ბულგარეთს შეეძლება ამ შუამდგომლობის მიღება.

გეშოვმა უპასუხა, რომ იგი გადასცემს სახელმწიფოთა წინადადებას ჯარის მთავარ ბანაკს და შეეკითხება აგრეთვე მოკავშირეთა მთავრობათ. ასეთივე წინადადება მიუციათ სახელმწიფოების წარმომადგენლებს სერბიისა, ჩერნოგორიისა და საბერძნეთისთვის, რომელთაგანაც ისეთივე პასუხი მიუღიათ, როგორიც ბულგარეთის პრემიერ-მინისტრმა გასცა.

ზავის პირობები.

გაზ. „ლოკალ-ანცეიგერის" ცნობით, ბულგარეთის სამშვიდობო პირობები ასეთია: ადრიანოპოლისა, სკუტარისა და იანინის დათმობა, ჩათალჯის მეციხოვნე ჯარისაგან იარაღის დაყრა; ნეიტრალიზაცია სტამბოლისა, გახსნა სრუტეებისა და კონტრიბუცია.

ავსტრიის მობილზაცია.

ბელგრადიდან ცნობაა: ზემლინში მივიდა ავსტრიის ორი სამხედრო მატარებელი. ეს ალბად ნაწილია ახლად მოწვეული სათადარიგო ჯარისა.

იტალიის აზრი.

იტალიის დიპლომატურს წრეებში იმედიანად უცქერენ სერბია-ავსტრიის უთანხმოებას, რადგან დარწმუნებული არიან, რომ გამოიძებნება მათი შემრიგებელი კომპრომისი, საზოგადოებრივი აზრი, პრესა და გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწენი, როგორც მაგ., ბისოლატი და ბარცილაი სერბიის მოთხოვნილების მომხრე არიან.

ავსტრიისა და ჩერნოგორიის უთანხმოება.

პეტერბურგიდან „რუსკოე სლოვოს" ატყობინებენ: ავსტრიის განცხადება, რომ იგი ნებას არ მისცემს ჩერნოგორიას ალესიოს და მედუას ნავთსადგურის შესაერთებლად, ვერ გამოიწვევს რუსეთის გადაჭრილ პასუხს, რადგან ამ უკანასკნელს არც

ბაზე: „დედა, ოჰ, დედა!" არა, მე მსურს მივითითოთ იმ მომენტზე, როდესაც ურიელი ერთსა და იმავე დროს ჰამლეტიც იყო და იუპიტერიც, ახალგაზრდა მეოცნებე მისუსტებული ყრმა, მელანქოლიკი, ჭეშმარიტების მაძიებელი მანფრედ ფაუსტი, ბრძენი და სულელი, პარნასის ცხადათ მომღერალი აპოლლო და ტაკი-მასხარა, ხორციელი შემოქმედი და უსხეულო მოჩვენება ვით სული უადრეს სახებისა, ახალ მოძღვრების, ახალი ქრისტე, თვით გენიოსობის ცეცხლის სიმბოლო, როდესაც ფერმკრთალი, კულულებ უსწორ-მასწოროდ გადმოყრილი, თეთრებში ჩაცმული ურიელი, ვით ანტიურ ქვეყნის ამოძრავებული ქანდაკება წარსდგება სინაღოღაში გადაყრუებულ რაბინთა წინაშე, რომელთაც თალმუდის მეტი არა სწამთ და ყოველ ახალზე ცინიკური ღიმილით გაიძახიან გონება გახევებულ ბენ-აკიბთა პირით: ყოველივე ეს ყოფილა... დიახ, ყოფილა... რა არის აქ საკვირველიო! ამ დროს იგი ერთსა და იმავე დროს ზეალდგენილი რომანტიზმის განსახება გახლდათ, თვით პესსიმიზმისა და ნიჰილიზმის მქივენელი ძარღვი, რომელსაც უზომო ნაღველით დაასცქეროდა უარმყოფელ ოქმის ეტრატს, ამ მთელ საუკუნეთა სიბნელის სიმბოლოს:

„ჩემო შემრცხვენო აღსარებავ, შენ
ჩემს გულზე წყლულად ხარ აღბეჭდილი.
და მაზე უფრო მკვიდრათა დგეხარ,
ვიდრე, ეტრატზე, სად გველის ენით,
მე დაგინახე შენ დაწერილი.

ამ დროს მოისმა მუსიკა. უცოდველ ყრმათა პირით შურის საძიებელ ჰიმნს აგალობებდნენ უმეცარნი და ამან უფრო გაასკეცა ურიელის მწუხარება, ისე მოსჩანდა, თითქოს ყოველი წუთი განგებ მას ქვეით და ქვეით ეწეოდა, რომ ტანჯვის ბირსავსე ფიალა ბოლომდინ გამოეცლევინებინა.

„აი გალობენ... ვიშ ამა ხმასა,
ვიშ ამ გალობის უმანკო სულთა...
აჰ, რა იციან, რომ ამ ანგელოზთ
აგალობებენ შურისძიებას!
ნუ თუ ეს არის რჩეულთა ხვედრი,
შურისძიება მიეზღოთ თავზე?
ოჰ, ღმერთო ჩემო, განა შენ ბრძანე
არვინ ხელი არ გაუწოდოს
უბედურ კაცსა დასახსნელადა?"

მაგრამ რა არის ყველა ეს იმ საშინელ ტრაგიზმთან შედარებით, რომელსაც განიცდის ურიელ უარყოფის ოქმის წაკითხვის დროს! ტიტანიური ძალა მსოფლიო მწუხარების ჰიმნს შეალია და აი, ბოლომდინ ჩაკითხვას ვერ მოასწრებს „მე ურიელ აკოსტა"... რომ ძლიერ სულს ხორცი უღალატებს და გონმიხდილი კიბის საფეხურზე დაეცემა. მლოცველთ გააქვთ ურიელ შიგნით სინაღოღაში, რომ ყველამ ზედ გადაუაროს, როგორც შენანებულს. ამით ჰსარგებლობს მისი მეტოქე ბენიოხაი, ივდითის ნაძალადევი საქმრო და აი, ყველასთან ერთად უდიერად ის გულზე დასცხებს ფეხს. მაგრამ აკოსტამ თითქოს ინსტიქტით იგრძნოო, თვით შემეცნება ვულკანისავით ამოჰხეთქავს. მაგრამ ვალაპარაკოთ თვით ბრძენი სილვა, რომელიც ამ საშინელებას ადევნებდა თვალს:

„აკოსტა სწრაფად წამოხტა ზეზედ...
იგი საზარლად თვალს აბრიალებს...
ყური თუ მოჰკრა მან იოხაის
სიტყვებს... აგერ, ტანთ შემოიხია,
ხალხი გზას აძლევს... ყველა შეფოთდნენ...
შეხედეთ, იგი აქეთკენ მორბის"...

და მართლაც: ვით ცირკში გამოშვებული ველური ხარი ჰესპანელის წითელ მანტიით შეფრთხეს და კამარა შევლებული კუშტად მოსხლტეს, რომ მახვილ რქებით გაანიავოს თვის მეტოქე, ისე აკოსტა გამოიჭრა და თან მოჰქონდა რისხვის ქარი. ეს იყო რაღაც არა ადამიანური შებრძოლება თმა შეზრდილ სამსონ ძლიერისა, რომელიც მზად იყო მთელი სვეტები მიენგრ-მოენგრია და ნანგრევთა შორის ჩაემარხნა როგორც თვის მოშურნე მტერნი, ისე თვისი თავიც! ხელმწიფება შურის მაძიებელ ქარიშხლისა, ხელმწიფება უმადური ფატალიზმისა მას თვით ღმერთებთან ამაღლებდა! იგი კვნესოდა საკუთარ ხმით, ყოველ წუთში ათას გვარად იცვლიდა ფერსა და თუ მჭექარე ხმა მიზანს ვერ აწევდა სიძლიერით, სამაგიეროდ შემაძრწუნებელი მიმიკა ჰელლინთა ტრაგედიის წინ გვაყენებდა და... შემდეგ მოხდა სასწაული: მსახიობი და მაყურებელნი თითქოს შეითქვნენ, თითქოს მართო დღეს ჰხედავდნენ **ახალ რაღაცას,** ძველს, ნაცნობს, მაგრამ მაინც ახალს, რომელიც მის კეკლუცმა თამაშმა მისცა.

მაგრამ აი დესილვისაგან გაიგებს, ივდითმა გიღალატა, ბენ-იოხაის უნდა შეერთოს ცოლადაო. ეს კი თვით იოხაის წიხლზე უარესი ამბავი იყო. აკოსტა, რომელმაც ივდითის სახელს შესწირა ყოველისფერი, რომლისთვისაც აგერ უარმყოფელი ოქმიც იკისრა, ივდითი, რომელიც მის სიყრმის მეგობარი იყო, რომლის სახებაზეც დაამყნო თავისი ბედი და უბედობა, დღეს მას ჰღალატობს. სასოწარკვეთილებამ მოსწყვიტა წელი და დიდიხნის განწირული ბრძოლის შემდეგ შეჰნიშნა სილვას:

„მძოვრთათვის მოვიკალ თავი,
სილვა!
ოჰ, მომაკვდავნო, თქვენ მეტის მეტად
მომაკვდავნი ხართ"!..

აი ხელში რა დასკვნა მისცა მუხთალმა ბედმა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ეხლაც მას მიჰყვეს ბოლომდისინ! არა, აქ იჩენს თავს ძალად შებორკილი ძლიერი სული და ფეხის დარტყმით დაიძახებს: „**მაინც ბრუნავს!**"

„მაინც ბრუნავს", ეს ხმა მისგან „განთავისუფლებული დემონის" ხმა იყო, რომელმაც ერთობ მოაშორა მძიმე ლოდები! არა, შეუძლებელია ამ სცენის გადმოცემა! უმალ ელვა და მეხის მელოდიად შეიქმნა მისი მრისხანე მხილება, რომელიც თან და თან აპოლეას აწევდა მთელი კატასტროფის მოსახდენად:

„შენც ჩემო ენავ, განთავისუფლდი,
გამხნევდი შენცა, ჩემო გონებავ,
და ვით სამსონმა სიკვდილის წინად
მილეწ-მოლეწე ეს ბორკილები!
მე თვით დავანგრევ თქვენსა კედლებსა..."

და შემდეგ:

„ნუ თუ გგონიათ, რომ მზის სხივებსა
დააბნელებთ თქვენ ამ სანთლებითა...
თქვე მუმლნო, თქვენა, ორიოდ წუთით
ზაფხულის ღამეს დაბადებულნო,
თქვენ გსურთ ბორკილი დაადოთ
სულსა,
თქვენ თვით ღმერთიც კი შებორკილი გყავთ..." და სხ. და სხვა.

რასაც „დემონის განთავისუფლება" მოჰყვა: სანთელს და ათ მცნებას ძირს გადმოამსხვრევს, რომ ამის შემდეგ თვითონაც „ემსახუროს შურის მაძიებელ ღმერთს!"

არა! შეუძლებელია, მეთქი მსახიობის მშვენიერ თამაშის გადმოცემა, თუ თვით არ ნახა ადამიანმა! ეს ზეკაცური გალაშქრება, რომლითაც იგი თვით თავის თავსაც აღემატა, თვით თქვენც განთავისუფლებდათ რაღაც იდუმალი უგუნურების ბრჭყალებიდან. თქვენც წინ და წინვე ჰგრძნობთ, რომ ამ ჰექა-ქუხილს უეჭველად კატასტროფა მოჰყვება, აუცილებელი სიკვდილი. და აი, მართლაც, ენერგია შელეული აკოსტა გამოჩნდება მეხუთე მოქმედებაში, როდესაც მანასეს ქალი ივდითი ქორწილს გადაიხდის იოხაისთან, მაგრამ ვიდრე მას გაუზიარებს სარეცელს, ურიელს შეეწირება სულიერად და საწამლავს დალევს! გაუსწორებელი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. ურიელი ნახავს მას, როცა იგი უკანასკნელ წუთებში იმყოფება. აქ მოხდა ახალი ჰარმონია: ქ-ნი ნ. დავითაშვილი უზენაეს ყვავილთა სინაზეთი შემკობილიყო, კვლავ მშვენების ნასკვად გამოიკრა მათი შეწყობილი თამაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მომაკვდავი ივდითი ემშვიდობება მამას და ურიელს გადასცემს თავის გვირგვინს:

„და შენ, ძვირფასო გულისსწორო,
აიღე შენთვის ეგე გვირგვინი,
იგი შენია... და მხოლოდ შენი"...

აუტანელი იყო ეს მომენტი. აკოსტამ ცრემლი დააფრქვია სატრფოს გაციებულ გვამს და ბოლოს თვითონაც მოისპო სიცოცხლე, რომ მისი სული გაჰყვეს ივდითს...

ასე დაასრულა ჩვენმა მელპომენის აპოლლომ ურიელ აკოსტას როლი. მან სრული სინამდვილით გადმოგვცა ყოველი დეტალი ურიელის სულიერ განცდისა, მან აშკარად დაგვანახვა ცხოვრების ღრმა ცოდნა, რომელიც ასე წყნარად და შეუკავებლად მიჰქრის ჩვენდა შეუმჩნევლად, მხოლოდ იმ წუთებში, როდესაც გული ყოველივე ამ სიწყნარეს შეჰმოსავს თალხით და მსოფლიოს კაეშნის ბადეში გახვევს ვით გაუკურნებელს ავადმყოფსა, როდესაც საიდუმლო კვნესა ელფერს შეუცვლის ყოველისფერს, ფერმკრთალი არის მსოფლიოს მზე, მთვარე, ვარსკვლავი, მოტყუებაა—პირს დამკვდარი სატრფოს ღიმილი, რომ სინამდვილე მხოლოდ ერთად-ერთი შავი ღრუბელია, რომელიც ვეშაპისავით შემოსწოლია ცის კამარას დ წივილ-კივილით ცრემლთა წვიმას მოათხევს დაბლა! რომ ამაოა ბუმბერაზ ჰენიოსობის შებრძოლება უგნურებასთან, როდესაც ვხედავთ, რომ ურიელ აკოსტათა კეთილშობილურ აზრს მტვრად გარდაჰქმნიან... გამარჯვება ხვდება სარწმუნოებასაო", და სევდა, სევდა, დაუშრეტელი სევდა, — აი, მსოფლიოს ის საიდუმლოებანი, რომელნიც ასე ყოველ მხრივ შეუსწავლია შემოქმედ აპოლლოს, რის გამოც მისი თამაში იყო ისე ბუნებრივი, კეკლუცი, უნაკლულო! აი რატომ წარსდგა იგი დამსწრე საზოგადოების წინ როგორც დაუშრეტელი ღვთაება, ხელოვნების გამგე ქურუმი!

შემოქმედი—ღმერთი —ტალანტი. ურიელ-აკოსტა ამ სინონიმებს გვერდით მოწერილი აპოლლო—ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი მელპომენის ღმერთებად გახდნენ და თვითეული მათგანი წარმოადგენს გაუმეორებელს სიმშვენიერეს, როგორც ერთ ღმერთის პირმშო შვილნი—ხელოვნების საღმრთო ქურუმნი...

დ. კასრაძე.

მწვავე საკითხებისა და არც მდგომარეობის გართულების სურვილი არა აქვს. რუსეთს, ისე როგორც ინგლისსა და საფრანგეთსაც, სურთ, ყველა ის საკითხი, რომელიც დიდ სახელმწიფოთა ინტერესებს ეხება, ომის გათავების შემდეგ სპეციალურ კონფერენციაზე გაირჩეს. ამიტომ რუსეთის დიპლომატია ყოველი საშუალებით ეცდება, ხელი შეუშალოს ჩერნოგორია-ავსტრიის უთანხმოების გამწვავებას. ამ აზრით რუსეთისთვის სრულიად უზრუნველყოფილია ინგლისისა და საფრანგეთის დახმარება.

იტალია ყოყმანობს.

იტალიამ მხარი არ დაუჭირა ავსტრიის ელჩის განცხადებას ცეტინიეში.

ბულგარეთი და რუმინია.

სოფიაში დარწმუნებული არიან, რომ ბულგარეთ-რუმინიის საზღვართა გასწორების საკითხი მშვიდობიანად გადასწყდება და რუმინია არ მოინდომებს ბულგარეთის ტერიტორიის რაღაც ნაგლეჯის გულისთვის მდგომარეობის გართულებას, რადგან ასეთი კომპენსაცია არავითარ სტრატეგიულ სარგებელს არ მისცემს დუნაის იქითა მხრის სახელმწიფოსო.

რუსეთი

სახალხო განათლების მინისტრის ცირკულიარი.

საშუალო სასწავლებლებში ამ ბოლო დროს მოსწავლეთა შორის შემჩნეულია განვითარების და ცოდნის დაცემა. მოსწავლენი არამც თუ არ იცავენ მართლწერის წესებს, თვისი აზრიც ვერ შეუძლიანთ ნათელ ფორმაში გახვიონ და ლოღიკურად დაასაბუთონ. ამისთვის სახალხო განათლების მინისტრმა მოწერილობა დაუგზავნა ოლქის მზრუნველებს, ეს საკითხი ყოველ მხრივ განიხილონ და საჭირო ზომები მიიღონ ამის თავიდან ასაცილებლად. მინისტრის აზრით, საჭიროა დაბალ კლასებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გრამატიკის სწავლებას, რაც შეიძლება ხშირად გამართონ წერითი ვარჯიშობა და მოწაფეებს ზეპირად შეასწავლონ, როგორც ლექსები, აგრეთვე პროზაც. ეს უკანასკნელი მოწაფეებს განუვითარებს არა მარტო მექანიკურ მეხსიერებას, არამედ ხედვითი მეხსიერებას, რაც უეჭველია, ხელს შეუწყობს მართლწერის კანონების დაცვას. ამის გარდა მინისტრს საჭიროდ მიაჩნია უცხოეთით სთარგმნონ რუსულად ტექსტი. უნდა მიეცეს საშინაო სამუშაო ისტორიისა, გეოგრაფიისა, სამხთოსჯულისა და სხ. აუცილებლივ ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაო გარეგან მხარეს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარეთ

7 ნოემბერი

მილვოკი. რუზველტის დამჭრელი შრანკი სულით ავადმყოფი აღმოჩნდა.

ლვოვი. სამართალში მისცეს გუშინ შეპყრობილი დემონსტრანტები.

რუსეთი

მაცოხის საქმე.

პეტროკოვი. ვარშავის სამოსამართლო პალატის ერთ-ერთ განყოფილებაში დაიწყო მაცოხის საქმის გარჩევა. საქმის გარჩევა 4 დღემდე გასტანს.

გაზეთის დაჭერა.

პეტერბურგი. დაიჭირეს გაზეთ „ლუჩი“ ორმოცდა მესამე ნომერი. „სოვრემენოე სლოვოს“ ნომერი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. დღეს, 8 ნოემბერს, ტასო აბაშიძისა, ვასო აბაშიძისა და ბუდუ მდივანის მონაწილეობით ქართული დრამატიული დასი წარმოადგენს; კონსტან ანდრონის 1) ერთ მოქმედებიანს დრამას **„სიყვარულის ყვავილს“** და 2) ვ. გუნიას კომედიას „ზოგი ჭირი მარგებელია“. დასასრულ გაიმართება დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ნ. დავითაშვილისა (დეკლამაცია); ბ-ნნი ნ. ერისთავი (დეკლამაცია); ი. ოსიპოვი (სიმღერა); გ. გარელიკი (სკრიპკაზე დაუკრავს), ი. ზარდალიშვილი (დეკლამაცია) და ლ. ცედელერი (ვიოლონჩელზე დაუკრავს).

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მისვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. 6 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106, საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8;7, შუადღ 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-საბ. № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ, **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ.

ყარსიდან: სახ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9|10 ნ, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან სურამში: სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ. № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 п, შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п. საღ. 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 п, ნაშ. 6 ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლების №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ,** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია. თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

15 ოქტომბრიდან,

შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„ვაჭრობა-ნავოსნობის“ საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკეობ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სახ., შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, **საფ., პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამგზ., პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკაზი და მერკური“ საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ. დღე საღ. 4 ს. 40 წ.

ენზელს პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, ხუთშ. ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.

ენზელიდა ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.

ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 4 ს. 44 წ.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედბლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

განცხადებანი

პლანები

პროექტები, სმეტები და სხვა ყოველგვარი შენობათა აგების და მიწათა ზომის საქმეები უნაკლულოდ და **ზომიერ ფასად სრულდება** ნ. გ. ნიორაძის ტეხნიკურ კონტორაში.

პუშკინის ქუჩა № 27 ძველ სემინარიის პირდაპირ. 794.

ქირავდება სარდაფი

85 ოთხკუთხი საჟენი, ღვინის სავაჭროდ ან საქონლისა და მასალების საწყობად, **თათრის მოედნის მახლობლად,** პატარა სირაჩხანაში, № 13. ჰკითხეთ მეეზოვეს ალბერტს. 727.

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.

მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები. 683.

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ. № 6

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ზ. გ. აგასართვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციე მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ა. ნ ვასარდიანი.**

კერძო სამკურნალო
„მუხრანი“
საწოლი კრაოტებით.

19 თევერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრანის ხიდის პირდაპირ, **ტელეფ.** № 370.

დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ ექიმების მიერ.

შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და მოზრდილთათვის:	**დილით:**	
სპექტიორი გ. მ.	8½—9½	ს.
გაზაზოვი ა. ა.	10—11	ს.
იაშვილი ა. ო.	11—12	ს.
ლოლობერიძე გ. მ.	12½—1½	ს.
ვაშაკიძე ე. ს.	1½—2½	ს.
სადოსტაქრო სნეულებანი;		
გრიგორიანი ა. ი.	11—12	ს.
მელკონიანი გ. ა.	12—1	ს.
ჯაში რ. ი.	9½—10½	ს.
საშარდეს და გვამის სადოსტაქრ. სნეულებანი:		
გრიგორიანი ა. ი.	11—12	ს.
სნეულებანი საშვილოსნოსი და საბებიო:		
ექ.-ქალ. **საყვარელიძე დ. გ.**	11—12	
ლოლობერიძე	12½—1½	ს.
სნეულებანი ყურისა, ყელისა და ცხვირისა:		
შტრეიხერი მ. ა.	12 12½	ს.
ცუდი სენი და კანის სნეულებანი;		
შაპელნიკოვი გ. ი.	1½—2½	ს.
კბილის სნეულებანი:		
სამოილოვა ლ. ა.	9—11	ს.
მაზია ა,	5—6	ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“,** ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხ, შეღავათიანი საფასურით. 158

ქართულ ენაზე
ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварны пер., 2, соб. д. 1231

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

იმერული შამპანიური
ღვინოები,
ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა ქუთაისში,
„კოლხიდა“ და „თამარა“
მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:
1) ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის სხგასტრონომიო მაღაზიაში და
2) მიხეილ. პროსპ. № 5, ბ. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.
ფასები 1—20 კ. 1 50 მან. ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. 11660

მოითხოვეთ სწორი და მკვიდრი საათი!
სხვა იაფ ფასიან საათებს ნუ გამოუდგებით! კარგ საათს ყოველთვის შერჩება თავისი ღირებულება.
✦ პარიზის უკანასკნელი ახალი ამბავი! ✦
საათი „ხრონომეტრი“-ს სისტემისა 5 მ. 25 კ.

200 მანეთიან ოქროს საათის მაგიერი, გირჩევთ „ხრონომეტრს“, რომელიც მოყვანილობითა და მოხდენილობით ოქროსას არ ჩამოუვარდება. „ხრონომეტრის“ ლითონის კარგი ღირსებისაა და მის გამძლეობაზე 10 წლის თავდებობას ვკისრულობთ, რადგანაც ელექტრონის საშუალებით მისი სახურავი დაფარულია 14% კარანტ. ოქროს სქელ სევადით. ეს საათი ნამდვილი შვეიცარიულია ახალი ოქროსი, კაცებისა თუ ქალებისა ხუფიანი სამ სქელ სახურავიანი, იმართება 40 საათში ერთხელ, მუშაობს წკრიალით, 15 ქვიანი, პრტყელი, როგორც სურათზე მოსჩანს, ძალიან გავრცელებულია და მთელ ევროპაში მოდებული. საათის ფასი 5 მ. 25 კ. 2 ცალი—10 მ., 4 ცალი—19 მ. 50 კ. ფასები ნაკლები დავადეთ, რადგანაც გვინდა ყველას შევაძლებინოთ მისი შეძენა. გასაგზავნი, ბაჟიანად,—40 კ., (ციმბირში—75 კ.) ყოველ საათს უფასოდ ვაყოლებთ მოხდენილ ნამდვილ ახალ ოქროს ძეწკვს სურვილისამებრ ორკეცი, ბრელოკით და ზამშის საათის ბუდით. საათს წუთი-წუთზე შესწორებულს ვგზავნით 6 წ. თავდებ., ფასდადებ. და უბეოდ.

Берлинъ
Berlin
I. STRUMFELD
Klosterstr. № 42. — 73.

მისამართი შეიძლება ამოსჭრათ და დააკრათ ღია წერილს ან კონვერტს. საათის დაბარება ყველა ენაზე შეიძლება. დახურულ წერილს 10 კ. მარკა სჭირდება, ღია წერილს კი 4 კ. მეტცლ. № 61483. 1579

ამხ. „ნახშირა“-ს
გამგეობა

აუწყებს **ქვა-ნახშირისა და სათბობ მასალების ტფილისის საწყობთა პატრონებს**, რომ რადგანაც ამ საზოგადოების ხელშეკრულებას ტყვიბულის ქვა-ნახშირის მონოპოლიურ გაყიდვის თაობაზე **ვადა გაუვიდა,** ამისათვის დღეის მერე ვაგონები დაიკვეთეს პირდაპირ ყველა მსურველთაგან საზოგადოების გამგეობის ბინაზე, სოლოლაკის ქუჩა, № 14. 744

ინჟენერი
ი. ს. პონდოევი
ტფილისი.
ელისაბედის ქ, 164.
ბაქოს ქ. კუთხე.

ცემენტი
ასფალტი, უდრონი, ცეცხლის მძლე აგური და თიხა, ლურსმეულობა, „заклепки“, გულცარიელი აგური და კრამიტი და სხ., საშ. მასალა.

რკინის კოჭები,
საქვაბე რკინები,
საკუთხე რკინები,
სახურავების რკინები.
(შავი და ცინკნარევი).

ტელეფონი:
კანტორისა 10—93
აგურხანისა № 11—96.

საშენებელი აგურები საკუთარ
აგურხანიდან ვაკეზე 1474

კალოშები
ტრეუგოლნიკ
1553

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი სასიმღერო და საგალობელი ნოტები:

„ლიტურღია“ ხუნდაძისა. გურულ იმერული კილო. . .	60 კ.
„ლიტურღია“ კარბელაანთ კილო	40 „
„მწუხრი“ ერთხმოვ. გალობა	15 „
„ცისკარი“ II ნაწ. ვას. კარბელაშვილის.	1—50 „
„ცისკარი“. ღმერთი უფალი სულხანიშვილი	35 „
აღდგომის საგალობელნი ქორიძისა	50 „
ახალი წიგნები:	
„გრდემლი“ სალიტერატურო კრებული II	ფ. 1—50 „
ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი ზ. ჭ. .	50 „
ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახ. ოსმალეთში. . .	50 „
„ყაჩაღები“ შილლერ. ნათ. ნ. ა.	50 „
Къ матеріаламъ по исторіи и древностіямъ Грузіи и Россіи М. Джанашвили.	1—25 „
კონსტანტინე VI, უცნობი აფხაზთა მეფე.	15 „
გენიალოგია ბაგრატ VI აფხაზთა და ქართ. მეფისა. .	15 „
უკრაინის მგოსანი ტარას შევჩენკო.	ფ. 10 „

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა,
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131

გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული ლოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი
✦ შავი ხიზილალა ✦

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.